MES 5 22 0001665576

27/12/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 13 დეკემბერი 2022 წელი
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 17:35 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი** - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში;
4. **ხათუნა თოდაძე -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;
5. **ირინა ლობჟანიძე -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
6. **ირინა გველესიანი -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
7. **ლევან მოსახლიშვილი** - სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდის" დირექტორის მოადგილე იურიდიულ საკითხებში;
8. **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
9. **თეა მჭედლური -** სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

10. **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
11. **თამარ სირაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
12. **დავით ტეფნაძე -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
13. **ეკატერინე შაკიაშვილი -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედია ტექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
14. **დავით ჩოჩიშვილი -** სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
15. **ნინო ჭალაგანიძე -** შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
16. **გურანდა ჭელიძე -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ქეთევან ინანაშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
2	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
3	**ანა ჯავახიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
4	**ანა ქოიავა**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ლევან მიდოდაშვილი	სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
2	გიორგი სოსიაშვილი		რექტორი	I

3	ციური დურული		სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი	I
4	მარიკა შერაზადიშვილი		ფაკულტეტის დეკანი	I
5	ქეთევან ლომსაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	I
6	ნინო ორჯონიკიძე		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;	I
7	ვლადიმერ ღლონტი	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
8	ლელა თურმანიძე		ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანი	II
9	ნანი მამულაძე		ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	II
10	მადონა მიქელაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	II
11	თამუნა გეგეშიძე		აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მენეჯერი	II
12	შაკო თავაძე		სტუდენტების დეკანი	II
13	თეა ოდიშვილი		ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი	II
14	მარიამ ჯაფარიძე		საერთაშორისო ურთიერთობების კოორდინატორი	II
15	ნიკოლოზ ალექსიძე		მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათ სკოლის დეკანი	II
16	ლანა გაბრიაძე		მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათ სკოლის კოორდინატორი	II
17	არჩილ ჯანგირაშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის	III- IV

		შპს საქართველოს უნივერსიტეტი	სამსახურის უფროსი	
18	სოსო გოგილიძე		პრორექტორი სასწავლო-სამეცნიერო დარგში	**III- IV**
19	ქეთევან გეგიაძე		საერთაშორისო აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	**III- IV**
20	თეონა შუშტაკაშვილი		ავტორიზაციის განყოფილების უფროსი	**III- IV**
21	ლუკა ბერაია		ანალიტიკისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი	**III- IV**
22	მაია ამაშუკელი		ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი	**III- IV**
23	ქეთი ცხადაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	**III**
24	რევაზ პაპუკაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	**III**
25	ნათია გოლიაძე		პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი	**III- IV**
26	ირმა ნურალოვი		ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი	**III- IV**
27	კონსტანტინე თოფურია		რექტორი	**IV**
28	მირზა პაპუნა დავითაია		პროგრამის ხელმძღვანელი	**IV**

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები
აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ**	**საკითხი**
1	ნათია ბადრიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ქეთევან აფთარაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II

3	ეკატერინე გიგაშილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	სოფიო ბაზაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	ნინო ჯოჯუა	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	ანა მჭედლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ეკა ლეკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
8	მიხეილ რუხაია	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	ილია ბოცვაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	ბექა მარუაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	ზურაბ ჯანხოთელი	(ჩაერთო „ზუმით“)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროფესიული და უწყვეტი განათლების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნეს ანალიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "კინოწარმოების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოდან დაბრუნებული).

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროფესიული და უწყვეტი განათლების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნეს ანალიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო

პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "კინოწარმოების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოდან დაბრუნებული).

1.პირველი საკითხი : სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება	ფსიქოლოგია
2	ერთობლივიუმაღლესისაგანმანათლებლოპროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსისგათვალისწინებით, საბჭო(ებ)საგადაწყვეტილებისთარიღიდანომერი	29/03/2022, N325176 გადაწყვეტილება
5	ხელახალიაკრედიტაციისშემთხვევაშისაგანმანათლებლოპროგრამისწინადასახელება	ფსიქოლოგია
6	უმაღლესიგანათლებისსაფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვებისწინაპირობები	
8	კვალიფიკაციისდონე	მე-6
9	კვალიფიკაციისდასახელება	ფსიქოლოგიისბაკალავრი
10	ზოგადიგანათლებისშესაბამისისაფეხურისსაგნის/საგნების/საგნობრივიჯგუფისსწავლებისუფლებისმითითებით	-
11	დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი (ISCED – F – 2013)	0313, ფსიქოლოგია
12	სწავლებისენა	ქართული
13	ECTS კრედიტებისჯამურირაოდენობა	240
14	განხორციელებისადგილი	საქართველო, 1400, ქ.გორი, ჩერქეზიშვილისქუჩა, N4
15	მსჯავრდებულაბიტურიენტთასაგანმანათლებლოპროგრამაზესწავლა-სწავლებისუფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადა- თეა მჭედლურმა და დავით ჩოჩიშვილმა
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ნათია ბადრიშვილმა აღნიშნა, რომ სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაცია მიენიჭა 2022 წლის 29 მარტს. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის წარდგენისთვის განისაზღვრა 6 თვიანი ვადა 2022 წლის 15 სექტემბრამდე. დაწესებულებამ დადგენილ ვადებში წარადგინა ანგარიში, სადაც აღწერილია 4 რეკომენდაციაზე ჩატარებული საქმიანობა. დაწესებულებამ ექვსი თვის განმავლობაში სრულად შეასრულა 2 რეკომენდაცია: (რეკომენდაციები #2 და #3) და ნაწილობრივ შეასრულა 2 რეკომენდაცია (რეკომენდაციები #1 და #4).
დაწესებულებამ დადგენილ ვადებში წარადგინა 3 რჩევაზე ჩატარებული საქმიანობა. სრულად გაითვალისწინა რჩევა #2 და არ გაუთვალისწინებია რჩევები #1 და #3.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული შესასრულებელი რეკომენდაციები:

1. მიზანშეწონილია ცალკეული კურსების ფარგლებში სტუდენტებისათვის ინგლისურ ენაზე შეთავაზებული სავალდებულო ლიტერატურა შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამაზე დაშვების არსებულ წინაპირობებთან;
2. მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასწავლო გეგმით ჯერ ისწავლებოდეს ფსიქოთერაპიის საფუძვლები, ხოლო შემდეგ კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპია;
3. სილაბუსებში გადაიხედოს შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები;
4. გაიზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს და აღნიშნა, რომ დაწესებულება არ იზიარებს პოზიციას რეკომენდაციების ნაწილობრივ შესრულებასთან დაკავშირებით, კერძოდ, რაც შეეხება პირველ რეკომენდაციას, საუბარია მე-3 და მე-4 წელს გათვალისწინებულ სასწავლო კურსებზე, რეკომენდაციის შესაბამისად წინაპირობა გაუქმდა. გარდა ამისა, სტუდენტებს შესთავაზეს სრულიად შესაბამისი და რელევანტური ლიტერატურა. შესაბამისად, უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ არ ასრებობს რიდერების შემოტანის აუცილებლობა, ვინაიდან კომპეტენციასთან პრობლემები არ არის.

რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, მოცემული გულისხმობდა აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობის გაზრდას, თუმცა ზუსტად არ იყო მითითებული რამდენი ერთეულით უნდა მომხდარიყო პერსონალის ზრდა. მიუხედავად ამისა, დაწესებულებამ

გაზარდა პერსონალის რაოდენობა. შესაბამისად, დაწესებულება მიიჩნევს, რომ რეკომენდაცია მთლიანად შესრულდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:20
დასრულების დრო: 14:38

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6]მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2[11]პუნქტის საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

2.მეორე საკითხი : სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროფესიული და უწყვეტი განათლების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პროფესიული და უწყვეტი განათლება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობით აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	პირობით აკრედიტებული (N 1243300, 30/12/2020)
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების მეცნიერებების მაგისტრი
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0111 - განათლების მეცნიერება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ნინოშვილი/რუსთაველის ქ. N35/32 ბათუმი. I კორპუსი, III - სართული.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა - თამარ სირაძე, ანზორ ბერიძემ, თეა მჭედლურმა და ნინო ჭალაგანიძემ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ქეთევან აფთარაშვილმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „პროფესიული და უწყვეტი განათლება“ შემუშავდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ), მაგდებურგის ოტო ფონ გერიკის უნივერსიტეტსა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე. პროგრამა პირველ ეტაპზე ჩამოყალიბდა შემდეგი სახელწოდებით: ,,პროფესიული განათლება და ადამიანური რესურსების განვითარება“, რომელსაც პირობითი აკრედიტაცია მიენიჭა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების, ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის,

სტუდენტთა და დამსაქმებელთა მოსაზრებების გათვალისწინებით კი პროგრამამ განიცადა არსებითი როგორც სტრუქტურული, ასევე შინაარსობრივი ხასიათის ცვლილებები: სახელწოდება, პროგრამის მიზანი, პროგრამის სწავლის შედეგები და სტრუქტურა (სასწავლო გეგმა), შემუშავდა/განახლდა სასწავლო კურსების სილაბუსები და ა.შ.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2022 წლის 19 ოქტომბრის ბრძანების შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ 2022 წლის 27 ოქტომბერს განხორციელდა ვიზიტი სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქ. ბათუმში „პროფესიული და უწყვეტი განათლების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით; ვიზიტი წარიმართა აკადემიურ გარემოში, შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით განხორციელდა დაგეგმილი ყველა შეხვედრა; კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, (რექტორის მოადგილე, დეკანი, ხარისხის სამსახურის უფროსი), ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებსა და დამსაქმებლებს. გადამოწმდა მატერიალურტექნიკური ბაზა და გამოთხოვილ იქნა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელთა მოწოდებაც დაწესებულებამ დროულად უზრუნველყო; ვიზიტის დასასრულს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებას გააცნო პროგრამის შესახებ ადგილზე ვიზიტის ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მოსაზრებები/მიგნებები.

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა შესაბამისობაშია სტანდარტებთან. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები შესაბამისობაშია სტანდარტებთან.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2022 წლის 22 ნოემბრის წერილით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტთან დაკავშირებით; არგუმენტირებული პოზიციის თანახმად, დაწესებულება სრულად იზიარებს და ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ ყველა რეკომენდაციას.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროფესიული და უწყვეტი განათლების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების პროცედურების მეტი გამჭვირვალობისთვის გადაიხედოს სპეციალობაში შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ინსტრუქცია;
2. რეკომენდებულია, პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებულ იქნას და დაიგეგმოს პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად;
3. გაძლიერდეს წახალისების ის მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც უზრუნველყოფილი იქნება სტუდენტების კვლევით აქტივობებში მაქსიმალურ ჩართულობა;
4. შეფასების ობიექტურობის, სანდოობის, გამჭვირვალობისა და სწავლის შედეგების მიღწევის გაზომვის მიზნით, რეკომენდებულია, ჩამოყალიბებულ იქნას სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებული მკაფიო კრიტერიუმები და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ იქნას შეფასების რუბრიკები/სქემები ყველა სასწავლო კურსისთვის;
5. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა პროგრამის ფარგლებში გააგრძელოს მუშაობა საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების მიმართულებით და გამოიყენოს არსებული საერთაშორისო კავშირები სტუდენტთა გაცვლით პროგრამებსა და საერთაშორისო აქტივობებში ჩასართავად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ მოცემული კვალიფიკაცია ითვალისწინებს სწავლა-სწავლების პროცესსა და სხვებისთვის ცოდნის გადაცემის თეორიებსა და მეთოდებს. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებთან დააზუსტა, თუ რამდენად იფარება აღნიშნული მოცემულ პროგრამაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი ჩამოყალიბდა იმ პოზიციაზე, რომ პროგრამის შინაარსი შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ფაკულტეტის პერსონალი და ადმინისტრაცია აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნას აფასებს დადებითად. უნივერისტეტი მიიჩნევს, რომ ექსპერტთა მიერ განსაზღვრული ყველა რეკომენდაცია მისაღები და გასათვალისწინებელია, რაც მხედველობაში იქნება მიღებული დაწესებულების მიერ, შესაბამისად, ოპტიმალური ვადა რეკომენდაციების შესრულებისა არის ერთი წელი.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება მუდმივად ცდილობს განვითარებას და დახვეწას. შესაბამისად, რეკომენდაციები იქნება სრულად გათვალისწინებული. რაც შეეხება კვლევით აქტივობებში ჩართულობას, პანდემიის გავლენით შედარებით შეფერხდა კონფერენციების ჩატარების მაჩვენებელი. ამასთან უნდა აღინიშნოს მაგდენბურგის უნივერსიტეტთან თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც იგეგმება მემორანდუმის გაფორმება სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების უზრუნველყოფის მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ აღნიშნა, რომ პრაქტიკის სილაბუსში იკითხება, რომ სტუდენტი ემზადება შემოდგომის სემესტრში სტუდენტური პრაქტიკის გასავლელად პროფესიულ სასწავლებელში, თუმცა იქვე იკითხება ჩანაწერი, რომ სტუდენტი ამყარებს

ურთიერთობას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის დაზუსტებისკენ. ამასთან, პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით ძალიან ბუნდოვანია, თუ როგორ ხდება ფუნქციების გადანაწილება პროგრამის აკადემიურ პერსონალსა და პრაქტიკის ობიექტს შორის პორტფოლიოს დაცვასთან მიმართებით. საბჭოს წევრმა, ასევე, დააზუსტა გადიან თუ არა სტუდენტები ამჯერად პრაქტიკას და რომელ ობიექტზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრი. შესაბამისად, ამ ეტაპზე, სანამ სტუდენტების მეტი რაოდენობა არ ეყოლება უნივერსიტეტს, პრაქტიკის გავლისთვის აღნიშნული ცენტრი სავსებით საკმარისია. ამასთან დაწესებულებას აქვს თანამშრომლობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან. პრაქტიკა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს, რომ რეალურ სამუშაო გარემოში გამოსცადოს სასწავლო კურსის ფარგლებში შეძენილი კომპეტენციები. პრაქტიკა ითვალისწინებს 6 კრედიტს, რაც მოიცავს 150 საკონტაქტო და 105 დამოუკიდებელ საათს, თუმცა სილაბუსის თანახმად, პრაქტიკის ფარგლებში 45 საათი გათვალისწინებულია, უშუალოდ, პრაქტიკის ხელმძღვანელთან კონტაქტისთვის, მაგრამ გარდა ამისა, სტუდენტს კურსის ფარგლებში ევალება დამოუკიდებლად შეაფასოს საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე პროცესები, გააკეთოს გარკვეული დასკვნები და მოამზადოს რეკომენდაციები. ყოველივე აღნიშნული სტუდენტმა საკმაოდ დეტალურად უნდა ასახოს რეფლექსიებში, რაც პრაქტიკის შემდგომ უნდა წარმოადგინოს. რა თქმა უნდა პრაქტიკა შემდგომში გულისხმობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან კონტაქტსაც, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ტერმინი არის ჩარჩენილი და მოცემული უნდა იყოს დაწესებულება და არა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე სტუდენტები გადიან პრაქტიკას უნივერისტეტის პროფესიული მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრში და სილაბუსის შესაბამისად აკვირდებიან უკვე მიმდინარე პროცესებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:05
დასრულების დრო: 15:15

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „პროფესიული და უწყვეტი განათლების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, კლასტერის ვადით - 2025 წლის 01 ივლისამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქრის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი

ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსტაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „უწყვეტი განათლების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით - 2025 წლის 01 ივლისამდე, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები
რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამაზე დაშვების პროცედურების მეტი გამჭვირვალობისთვის გადაიხედოს სპეციალობაში შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ინსტრუქცია;
2. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებულ იქნას და დაიგეგმოს პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად;
3. გაძლიერდეს წახალისების ის მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც უზრუნველყოფილი იქნება სტუდენტების კვლევით აქტივობებში მაქსიმალურ ჩართულობა;
4. შეფასების ობიექტურობის, სანდოობის, გამჭვირვალობისა და სწავლის შედეგების მიღწევის გაზომვის მიზნით, რეკომენდებულია, ჩამოყალიბებულ იქნას სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებული მკაფიო კრიტერიუმები და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ იქნას შეფასების რუბრიკები/სქემები ყველა სასწავლო კურსისთვის;
5. რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა პროგრამის ფარგლებში გააგრძელოს მუშაობა საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების მიმართულებით და გამოიყენოს არსებული საერთაშორისო კავშირები სტუდენტთა გაცვლით პროგრამებსა და საერთაშორისო აქტივობებში ჩასართავად;

- **15:16 საბჭოს სხდომა დატოვა ნათია ზედგენიზე-ჯიშკარიანმა**

3.მესამე საკითხი : შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნეს ანალიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნეს ანალიტიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

		Bachelor of Business Administration
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ბიზნესისადმინისტრირება 0413.1.2
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას77ა, თბილისი, საქართველოსუნივერსიტეტისIV კორპუსი, 0171, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელი ეკა ლეკაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო შეფასება განხორციელდა ადგილზე ვიზიტის საფუძველზე მიმდინარე წლის 21 ოქტომბერს. შეფასებამდე, ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელის მიერ მოხდა ექსპერტთა ჯგუფის ორი წინასააკრედიტაციო შეხვედრის ორგანიზება. ჯგუფის წევრებმა გაცვალეს ინფორმაცია სააკრედიტაციო მასალების შესახებ, შეაჯერეს კონკრეტული ბუნდოვანი საკითხები, კითხვები და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე. შეთანხმდა სააკრედიტაციო ვიზიტის განრიგი. შემუშავდა შეკითხვების ჩამონათვალი, დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტების სია. ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები. ვიზიტის დასაწყისში უნივერსიტეტს გაეგზავნა დამატებითი დოკუმენტების და მასალების წარმოდგენის თხოვნა. ვიზიტის პროცესში მოხდა დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა.

უსდ-მ ექსპერტებს წარუდგინა დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები ექსპერტების მოთხოვნის საფუძველზე. ვიზიტი დაიწყო შეხვედრის განრიგით გათვალისწინებულ დროს, ექსპერტთა სრული შემადგენლობით. ჩატარდა გრაფიკით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა. ექსპერტებს ჰქონდათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ დამატებით დოკუმენტებს, რომლითაც დასტურდებოდა თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია. უნივერსიტეტში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებისას ექსპერტები გაეცნენ ყველა შესაძლებლობას, რაც პროგრამის ხარისხიანად განხორციელებას უზრუნველყოფს. ვიზიტი წარიმართა მშვიდ, საქმიან და კოლეგიალურ გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მაქსიმალურად უზრუნველყო პირობები იმისთვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად. დაწესებულებისგან მიიღეს არგუმენტირებული პასუხი და თანდართული დოკუმენტაცია აკრედიტაციის დასკვნის პროექტის რეკომენდაციებზე, საიდანაც ირკვევა, რომ რეკომენდაციების გარკეული ნაწილი დაწესებულებამ გაითვალისწინა და ეს მტკიცდება თანდართული დოკუმენტებით, თუმცა ამ მასალებში ვერ იძებნება აღნიშნული ცვლილებების შეტანის პროცედურის დამამტკიცებელი იურიდიული დოკუმენტი/ოქმი, რაც ექსპერტებს მისცემდა რეკომენდაციების მოხსნის საშუალებას

შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნესის ანალიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი – საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი – სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი – სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი – სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი – სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები აღიწეროს სწავლის საფეხურის შესაბამისი ფრაზებითა და აქტიური ზმნებით.
2. ეკომენდებულია, წარმოდგენილი იყოს პროგრამის მიზნებსა და შედეგებს შორის თავსებადობა შესაბამისი რუკის სახით;
3. რეკომენდებულია, სასწავლო კურსის სწავლის შედეგის პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)თან შესაბამისობა განისაზღვროს მიღწევის დონის დაკონკრეტებით, მაგ: გაცნობა, გაღრმავება, გამტკიცების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის რუკის მაღალ დონეს პროგრამის ფუნქციონალთან მიმართებაში;
4. რეკომენდებულია, სამიზნე ნიშნულების მიუღწევლობის შემთხვევაში განისაზღვროს რეაგირების მექანიზმები;
5. მიზანშეწონილია, რომ უსდ-მ მიღების წინაპირობებში კონკრეტულად განსაზღვროს ეროვნული გამოცდების მესამე საგანი და ინგლისური ენის დონის კომპეტენცია;
6. სასწავლო კურსი „INFO3025 მონაცემთა ბაზების საწყისები (MS SQL)“ გახდეს „MATH3040 მონაცემთა ანალიზი“ სასწავლო კურსის წინაპირობა;

7. სასწავლო კურსს „BUAN1030 მონაცემთა სტრუქტურების ანალიზი“ დაემატოს წინაპირობა „INFO3025 მონაცემთა ბაზების საწყისები (MS SQL)“;
8. სასწავლო კურსს „MATH3040 მონაცემთა ანალიზი“ დაემატოს წინაპირობები „BUAN1010 ბიზნეს ანალიტიკის შესავალი“, „MATH3020 ბიზნეს ანალიტიკის რაოდენობრივი მეთოდები 2“ და დაპროგრამების საუძვლები, სადაც სტუდენტებს შესწავლილი ექნებათ Python ენის სინტაქსი;
9. სავალდებულო სასწავლო კურსი „INFO3030 WEB ტექნოლოგიების საფუძვლები“ გახდეს არჩევითი;
10. სავალდებულო სასწავლო კურსი „INFO3020 ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება (C#)“ ჩანაცვლდეს ან გახდეს არჩევითი და მის ადგილას შემოტანილ იქნას დაპროგრამების საუძვლები Python ენაზე;
11. სავალდებულო სასწავლო კურსი „INFO3035 IT სერვისების და პროექტების მენეჯმენტი“ გახდეს არჩევითი;
12. გაერთიანდეს სავალდებულო სასწავლო კურსები „INFO3015 ბიზნეს პროცესების ვიზუალიზაცია MS Visio-ს გამოყენებით“ და „BUAN2015 ბიზნეს ანალიტიკის პროცესების მართვა“;
13. დაემატოს ციფრული მარკეტინგის კურსი, რომელიც აგრეთვე მოიცავს Google Analytics და Search Engine Optimization თემატიკებსაც;
14. არჩევითი სასწავლო კურსებიდან გადმოვიდეს სავალდებულო სასწავლო კურსებში ,,ადამიანური რესურსების მართვა“, ,,მმართველობითი აღრიცხვის საფუძვლები“, რისკების მენეჯმენტი“;
15. სავალდებულო სასწავლო კურსის სახით შეთავაზებულ იქნას ,,აკადემიური წერა“;
16. დაკორექტირდეს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და ჩამოყალიბდეს აქტიური ზმნებით (მაგ: WEB ტექნოლოგიების საფუძვლები; ბიზნესის ანალიტიკა და რაოდენობრივი საფუძვლები I; ბიზნესის ანალიტიკა და რაოდენობრივი საფუძვლები II; მენეჯმენტის საფუძვლები და ა.შ.) ;
17. დაკორექტირდეს სასწავლო კურსების წინაპირობები და სილაბუსებში აისახოს მხოლოდ ბიზნეს ანალიტიკის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისი წინაპირობები;
18. დაკორექტირდეს რიგი სასწავლო კურსების („BUAN4030 საბაკალავრო პროექტი ბიზნეს ანალიტიკაში“, „BUAN2025 მონაცემთა ვიზუალიზაცია“, INFO3035 IT სერვისების და პროექტების მენეჯმენტი“) სილაბუსებში სწავლა-სწავლების მეთოდები შინაარსის შესაბამისად;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ დაწესებულებას სამართლებრივად დადასტურებადი ყველა დოკუმენტი გამოგზავნილი ჰქონდა. ის თუ რატომ არ მოხდა ექსპერტებისთვის აღნიშნული დოკუმენტების მიწოდება დაწესებულებისთვის არ იყო ცნობილი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა მე-16 რეკომენდაციასთან დაკავშირებით და განმარტება გააკეთა, რომ პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ჩასწროება და ჩამოყალიბება აქტიური ზმნებით. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწყებულია პროგრამის ხელახალი რევიზია, რაც მოითხოვს გარკვეულ პერიოდს. ყველა ტექნიკური ხარვეზი ამ და სხვა ნაწილში რევიზიის შედეგად გამოსწორდება.

რაც შეეხება ინგლისურ ენას, მნიშვნელოვანია, რომ ანკეტა-კითხვარი 19ნ ბრძანების შესაბამისად განსაზღვრავს უცხო ენასთან მიმართებაში პოზიციის დაფიქსირების ვალდებულებას. უნივერსიტეტის ახლანდელი გადაწყვეტილებით, ყველა პროგრამაში არის

განსაზღვრული ინგლისური ენა და, ასევე, მისი ბარიერი. შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით, აღნიშნული პროცედურა არ არის მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე დამოკიდებული.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ასევე, აღნიშნა, რომ ბიზნესის და ადმინისტრაციულ მეცნიერებათა სკოლაში წარმოდგენილია 4 ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ხდება საგნების გაზიარება. შესაბამისად, თანაზიარი საგნები სხვადასხვა პროგრამის სტუდენტმა შეიძლება აირჩიონ და აღნიშნული საგნის დაშვების წინაპირობად მითითებულია მსგავსი თემატიკის საგნები ალტერნატიული წინაპირობის სახელის ქვეშ. შესაბამისად, არც ერთი პროგრამის სტუდენტს ტექნიკურად ხელი არ ეშლება, რომ აირჩიონ მომიჯნავე პროგრამის სასწავლო კურსი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში ცალკეულ რეკომენდაციებში მოცემულია, სასწავლო კურსების ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხები, არჩევითიდან სავალდებულოში ან პირიქით. გამომდინარე აქედან საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენად ფარავს დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს სასწავლო კურსების შინაარსი, ასევე მნიშნელოვანია დაზუსტდეს თუ რამდენად სწორად განსაზღვრულია წინაპირობები და ხომ არ საჭიროებს რომელიმე სასწავლო კურსი სხვა წინაპირობების განსაზღვრას.

ამასთან საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ უფრო ხშირად მსგავსი პროგრამა ხორციელდება სამაგისტრო დონეზე. ამასთან აღსანიშნავია სწავლის შედეგები, რომელიც განსაზღვრავს, რომ სტუდენტს უნდა ჰქონდეს ფართო და სიღრმისეული ცოდნა ბიზნესისა და მონაცემების დამუშავების თაობაზე. ზოგადად სწავლის შედეგები კონცენტრირებულია ისეთ საკითხებზე, რომელიც უფრო სამაგისტრო საფეხურისთვის არის რელევანტური. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რატომ განისაზღვრა მოცემული პროგრამა არა სამაგისტრო, არამედ საბაკალავრო საფეხურზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მთავარი ამომავალი წერტილი იყო ის, რომ კვალიფიკაცია პროგრამის არის ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრი, აქედან გამომდინარე გათვალისწინებული იყო ის რეკომენდაცია, რომელიც სტრუქტურულ ცვლილებას ეხებოდა და არ დასმულა შეკითხვა პროგრამის შინაარსი შესაბამისია თუ არა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. რაც შეეხება შედეგების ნაწილს, ღრმა და სისტემური ცოდნის მიცემას, ამასთან დაკავშირებით ექსპერტებს ჰქონდათ რეკომენდაცია, რის შედეგადაც დაწესებულებამ მოახდინა ჩასწორება. ხოლო რაც შეეხება წინაპირობებს, ამ საკითხთან მიმართებითაც ექსპერტებს განსაზღვრული ჰქონდათ რეკომენდაციები, რომლის ნაწილი უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ნაწილი კი არა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ახალია, მისი შინაარსი სრულიად შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და განსაზღვრულია შედეგებზე გასვლის საკითხიც. რაც შეხება წინაპირობებს, უნივერსიტეტში განსაზღვრულია თავისუფალი კრედიტები. შესაბამისად, თუკი საგანს შემოუერთდება რომელიმე სტუდენტი, შესაბამისად, წინაპირობებში ჩასმულია სხვადასხვა საგანი სწორედ იმიტომ, რომ არ მოხდეს იმ სტუდენტისთვის დაბრკოლების შექმნა, რომელიც მოცემულ პროგრამაზე არ სწავლობს.

ამასთან, პროგრამა საკმაოდ კომპლექსურია და მოიცავს ბევრ საკითხს, შესაბამისად ამ საკითხების სრულად ჩატევა მხოლოდ 240 კრედიტში თუ იქნება შესაძლებელი.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამის შექმნის მთავრი მოტივაცია იყო უნივერსიტეტის გამოცდილება და ის მოთხოვნა, რაც დასაქმების კუთხით არსებობს საქართველოში. დღეს საჭიროებამ განაპირობა, რომ მოცემული პროგრამის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი ბაკალავრიატის დონეზე იყოს მზად, მსგავსად საერთაშორისო დონეზეც ხდება, დღეს უკვე ბაზარზე არსებობს კადრის მოთხოვნა, რაც პროგრამას მეტად მოთხოვნადს ხდის.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა სასწავლო კურსი ,,ბიზნესი და ეკონომიკა", რომელიც შესავალი კურსია, მას არ აქვს წინაპირობა და ისწავლება პირველივე წელს, ამ კურსში მითითებულია სულ ორი ძირითადი სახელმძღვანელო, მათგან ერთ-ერთი ნაკლებად რელევანტურია სასწავლო კურსის ფარგლებში მისაღწევ შედეგებთან და კურსის შინაარსთან მიმართებით. ამასთან, შესავალი კურსის პირობაზე, სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია საკმაოდ ამბიციურად თავად კურსის შინაარსში შეტანილია თემები მიკრო-მაკრო და საერთაშორისო ეკონომიკის, ბიზნეს ადმინისტრირების, მენეჯმენტის, მარკეტინგის, ანალიტიკის კურსებიდან. თუმცაღა, რეალურად 30 საკონტაქტო საათის პირობებში შეუძლებელია კურსის ფარგლებში მითითებული თემატიკის ათვისება და განსაზღვრული შედეგების მიღწევა; მითუმეტეს, იმ სიღრმით, რასაც კურსის და პროგრამის შეწავლის შედეგები ითვალისწინებს. ასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ პროგრამის ფარგლებში მარკეტინგის თუ მენეჯმენტის კურსების სწავლება არჩევითის სტატუსითაა შეთავაზებული, ამიტომ სტუდენტი ამ კურსებს ან აირცევს და ისწავლის ან არა შესაბამისად, გაუგებარია, თუ რამდენად ან როგორ შეძლებს სტუდენტი კომპანიის მმართველობით ანალიზს სუსტი და ძლიერი მხარეების კვლევას, კონკურენტული უპირატესობის ანალიზსა და ბიზნეს-სტრატეგიის განსაზღვრას ერთი ან თუნდაც ორი თემის საფუძველზე, თან სიღრმისეულად. ამ თვალთახედვით, რამდენად რეალისტურია

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოცემული საგანი უნივერსიტეტში საკმაოდ დიდი ხანია, რაც ისწავლება. სახელმძღვანელოებში, რომელიც განსაზღვრულია ლიტერატურის სახით, შედგენილია პირსონის სახელმძღვანელოს მიხედვით და გამოყენებულია დამატებითი სახელმძღვანელოებიც. ამასთან სტუდენტთა უკუკავშირიდან გამომდინარე, პრაქტიკაში არ ყოფილა სტუდენტებს გამოეთქვათ ამ საკითხთან დაკავშირებით უკმაყოფილება. ბიზნესის საფუძვლების სწავლება პირველ კურსზე საკმაოდ მიღებული პრაქტიკაა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:00
დასრულების დრო: 16:47

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ბიზნესის ანალიტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტეტის ვადით, 2024 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქრის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-8 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ბიზნეს ანალიტიკის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით - 2024 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები/რჩევები
რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები აღიწეროს სწავლის საფეხურის შესაბამისი ფრაზებითა და აქტიური ზმნებით;
2. რეკომენდებულია, წარმოდგენილი იყოს პროგრამის მიზნებსა და შედეგებს შორის თავსებადობა შესაბამისი რუკის სახით;
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსის სწავლის შედეგის პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)თან შესაბამისობა განისაზღვროს მიღწევის დონის დაკონკრეტებით, მაგ: გაცნობა, გაღრმავება, გამტკიცების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის რუკის მაღალ დონეს პროგრამის ფუნქციონალთან მიმართებაში;
4. რეკომენდებულია სამიზნე ნიშნულების მიუღწევლობის შემთხვევაში განისაზღვროს რეაგირების მექანიზმები;
5. მიზანშეწონილია უსდ-მ მიღების წინაპირობებში კონკრეტულად განსაზღვროს ეროვნული გამოცდების მესამე საგანი და ინგლისური ენის დონის კომპეტენცია;
6. სასწავლო კურსი „INFO3025 მონაცემთა ბაზების საწყისები (MS SQL)“ გახდეს „MATH3040 მონაცემთა ანალიზი“ სასწავლო კურსის წინაპირობა;
7. სასწავლო კურსს „BUAN1030 მონაცემთა სტრუქტურების ანალიზი“ დაემატოს წინაპირობა „INFO3025 მონაცემთა ბაზების საწყისები (MS SQL)“;
8. სასწავლო კურსს „MATH3040 მონაცემთა ანალიზი“ დაემატოს წინაპირობები „BUAN1010 ბიზნეს ანალიტიკის შესავალი“, „MATH3020 ბიზნეს ანალიტიკის რაოდენობრივი მეთოდები 2“ და დაპროგრამების საუძვლები, სადაც სტუდენტებს შესწავლილი ექნებათ Python ენის სინტაქსი;
9. სავალდებულო სასწავლო კურსი „INFO3030 WEB ტექნოლოგიების საფუძვლები“ გახდეს არჩევითი;
10. სავალდებულო სასწავლო კურსი „INFO3020 ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება (C#)“ ჩანაცვლდეს ან გახდეს არჩევითი და მის ადგილას შემოტანილ იქნას დაპროგრამების საუძვლები Python ენაზე;
11. სავალდებულო სასწავლო კურსი „INFO3035 IT სერვისების და პროექტების მენეჯმენტი“ გახდეს არჩევითი;
12. გაერთიანდეს სავალდებულო სასწავლო კურსები „INFO3015 ბიზნეს პროცესების ვიზუალიზაცია MS Visio-ს გამოყენებით“ და „BUAN2015 ბიზნეს ანალიტიკის პროცესების მართვა“;
13. ეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსის “ეკონომიკა და ბიზნესი” სწავლის შედეგები და დაზუსტდეს შესავალი კურსისათვის რელევანტური კომპეტენციების

განვითარების ჭრილში; ასევე, გადაიხედოს სავალდებულო ლიტერატურა და შეივსოს კურსის შინაარსის შესაბამისი ახალი, უფრო რელევანტური რესურსით.

14. დაემატოს ციფრული მარკეტინგის კურსი, რომელიც აგრეთვე მოიცავს Google Analytics და Search Engine Optimization თემატიკებსაც;
15. არჩევითი სასწავლო კურსებიდან გადმოვიდეს სავალდებულო სასწავლო კურსებში ,,ადამიანური რესურსების მართვა", ,,მმართველობითი აღრიცხვის საფუძვლები", რისკების მენეჯმენტი";
16. სავალდებულო სასწავლო კურსის სახით შეთავაზებულ იქნას ,,აკადემიური წერა".
17. რეკომენდებულია, მემორანდუმების ნაწილი გადაისინჯოს და განახლდეს სტუდენტთა რაოდენობის, პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობის შესახებ ინფორმაციის გათვალსწინებით;
18. დაკორექტირდეს რიგი სასწავლო კურსების („BUAN4030 საბაკალავრო პროექტი ბიზნეს ანალიტიკაში", „BUAN2025 მონაცემთა ვიზუალიზაცია", INFO3035 IT სერვისების და პროექტების მენეჯმენტი") სილაბუსებში სწავლა-სწავლების მეთოდები შინაარსის შესაბამისად.
19. სასურველია პროგრამის განხორციელება დაიწყოს მეტი აფილირებული აკადემიური პერსონალით, რომლებიც სავალდებულო სასწავლო კომპონენტების სწავლებას განახორციელებენ;

რჩევები:

1. სასურველია, პროგრამის ზოგადი მიზნების სტილისტურად გადამუშავება ისე, რომ ძირითადი აქცენტი გაკეთდეს ბიზნესის ადმინისტრირების მნიშვნელობაზე.
2. სასურველია კრედიტების მოცულობის, ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა გადაისინჯოს პროგრამის განვითარების პროცესში სასწავლო კურსების სპეციფიკის გათვალისწინებით;
3. სასურველია უსდ-მ გააძლიეროს საინფორმაციო კონსულტაციები სტუდენტებთან შემდეგ საკითხებთან მიმართებით: საბიბლიოთეკო სამეცნიერო ბაზები, გაცვლითი პროგრამები და კონფერენციები.
4. სასურველია უსდ-მ გაზრდილი მოთხოვნის პერიოდში აკადემიური რეგისტრაციისას უზრუნველყოს სტუდენტური ელექტრონული პორტალის შეუფერხებელი და გამართული ფუნქციონირება.
5. სასურველია უსდ-მ უფრო მეტი ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის გაციფრულება მოახდინოს;
6. სასურველია პროგრამის ხელმძღვანელის მეტი აქტიურად ჩართულობა სასწავლო და აკადემიურ პროცესებში;
7. სასურველია წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშში დაფიქსირებულ მონაცემებში (აკადემიური და მოწვეული ლექტორების რაოდენობისა და შესაბამისად თანაფარდობის შესახებ) გაპარული მექანიკური შეცდომების (რაოდენობები არ ემთხვევა ჩვენს მიერ შესწავლილი პირადი საქმეების დოკუმენტაციას) გამოსწორება;
8. სასურველია მუშაობა წარიმართოს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის გაძლიერების და სამეცნიერო პოტენციალის ამაღლების მიმართულებით;
9. სასურველია შესაბამისმა დეპარტამენტებმა სრულყონ პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის პირადი საქმეები;
10. სასურველია პერსონალის გააქტიურება ინტერნაციონალიზაციის ნაწილში;
11. სასურველი იქნება, თუ გადამოწმდება სასწავლო პროგრამისთვის განკუთვნილ აუდიტორიებში არსებულ კომპიუტერებში საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალირების საკითხი;

12. სასურველი იქნება, თუ უსდ უფრო ინტენსიურად შეეცდება სტუდენტებში საკონსულტაციო მომსახურების გზით საბიბლიოთეკო ბაზებთან მუშაობის პოპულარიზაციას;
13. სასურველი იქნება, თუ გაიზრდება მატერიალური სახით წიგნების ეგზემპლარების რაოდენობა;
14. სასურველია პროგრამის შეფასება ხორციელდებოდეს კურსდამთავრებულების მიერ საჭირო კომპეტენციებისა და უნარების კვლევის კუთხით;
15. სასურველია საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასება ხორციელდებოდეს ორი ან მეტი დამოუკიდებელი ექსპერტების ან/და სხვა (მათ შორის საერთაშორისო) გარე შემფასებლის მიერ;
16. სასურველია პროგრამა იყენებდეს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას რაც გულისხმობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის კოლეგების ლექციაზე დასწრებას და ერთმანეთთან უკუკავშირის გაზიარებას, რაც ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას;
17. სასურველია დაწესებულება ახდენდეს შიდა მექანიზმებით პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით დადგენილი აქტივობების რეგულარულ განხორციელებას, კერძოდ, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის რეგულარულ შეფასებას, ხოლო შედეგების გამოყენებას პროგრამის განმახორციელებლი პერსონალის მოტივირებისა და განვითარების მიზნით.

4.მეოთხე საკითხი : შპს საქართველოს უნივერსიტეტის "კინოწარმოების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა (სააპელაციო საბჭოდან დაბრუნებული).

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კინოწარმოება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	აუდიოვიზუალური ხელოვნების მაგისტრი Master of Audiovisual Arts
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0211 აუდიოვიზუალური მეთოდები და მედიაპროდუქცია/წარმოება
12	სწავლების ენა	ქართული

13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, კოსტავას 77, 0171
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ისაცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხისზეპირი მოსმენა
ექპსერტთა ჯგუფის მიერ დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, მიზნების დავიწროება, დაზუსტება და დაკონკრეტება, რათა მათში აისახოს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა;
2. რეკომენდებულია, ჩატარდეს ვალიდური და სანდო შრომის ბაზრის კვლევა ქართული კინოწარმოების სფეროში არსებული მოთხოვნების შესასწავლად და საჭიროებების გამოსავლენად, რაც პროგრამის აკადემიურ გუნდს საშუალებას მისცემს შექმნას შრომის ბაზარზე მეტად ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამა;
3. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებთან, მათში მოხდეს პროგრამის მიზნებით გათვალისწინებული კინოწარმოების ყველა სეგმენტისთვის (რეჟისურა, პროდუსინგი, ხმის ოპერატორი და ა.შ.) 5 დამახასიათებელი დარგობრივი სპეციფიკური ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების სრულად ასახვა;
4. რეკომენდებულია მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგებში უნარების პერსპექტივაზე ჩაღრმავება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩნდება შთაბეჭდილება რომ საბოლოოდ ეს უნარები, ცალ-ცალკე ყოველი მათგანი ზედაპირული ხასიათის იქნება და პროფესიის დაუფლებისას, პრობლემას შექმნის კონკრეტული კომპეტენციების სიღრმისეულად დაუფლების საკითხში;
5. რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის (სულ 19 სწავლის შედეგი) და სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და მოხდეს მათი რაოდენობის შემცირება; პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვის შემდგომ მოხდეს მათი თემატური კონცენტრაცია - გაერთიანება;
6. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგები აღიწეროს მარტივად, მკაფიოდ, იყოს გაზომვადი და რეალისტური, რათა შესაძლებელი იყოს მათი ობიექტურად შეფასება, ნათლად უნდა ჩანდეს თუ რისი შესრულება/კეთება შეუძლია სტუდენტს, არ უნდა იქნას გამოყენებული ორაზროვანი და ბუნდოვანი ზმნები თუ ფორმულირებები;

7. რეკომენდებულია, წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით, შესაბამისი სამიზნე ნიშნულების მითითებით;
8. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის სწავლის შედეგი, რათა ერთი მხრივ, მოხდეს პროგრამის შინაარსით მოაზრებული შესაბამისი უნარების პროგრამის აღწერილობაში გამოტანა, ხოლო მეორე მხრივ, პროგრამის რიგ სასწავლო კურსებში არსებული ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის სწავლის შედეგები დაუკავშირდეს პროგრამის შესაბამის სწავლის შედეგს;
9. რეკომენდებულია, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ გადაიხედოს და დაზუსტდეს პროგრამის მიღების წინაპირობების ერთიანი მოცემულობა და დაისვას საკითხი, ერთსა და იმავე სწავლების დონეზე შექმნის თუ არა რისკს, სხვადასხვა მომზადების საფუძველზე, წინაპირობების გარეშე ფორმირებული ჯგუფის მუშაობა ოსტატებთან და პედაგოგებთან. შესაბამისად, რეკომენდებულია ჩატარდეს ზეპირი გამოცდა, რომელიც აპლიკანტის მოტივაციასთან ერთად შეაფასებს მის შემოქმედებითობას, ზოგად დარგობრივ ცოდნას, უნარ-ჩვევებს, მსოფლმხედველობასა და მსოფლაღქმას;
10. რეკომენდებულია, დეტალურად გაიწეროს გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები, რათა გასაუბრების პროცესი იყოს გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური;
11. რეკომენდებულია, პროგრამის კურიკულუმში წარმოდგენილი სავალდებულო სასწავლო კურსები სრულყოფილად უზრუნველყოფდნენ სიღრმისეული და სისტემური, სამაგისტრო დონის შესაბამისი ცოდნისა და უნარების გამომუშავებას, ხოლო არჩევითი კურსები წარმოადგენდეს მათ დამატებას და ხელს უწყობდეს დამატებითი ინფორმაციისა და ცოდნის შეძენას. შესაბამისად, სავალდებულო კურსები, როგორიცაა ხმის დიზაინი I, კინოდრამატურგის ოსტატობა I, უნდა გაძლიერდეს ამავე დასახელების არჩევითი სასწავლო კურსების შინაარსით ან ეს არჩევითი სასწავლო კურსები კურიკულუმში გადავიდეს სავალდებულო სასწავლო კურსების ქუდ ქვეშ;
12. რეკომენდებულია, სიღრმისეულად გადაიხედოს პროგრამის კურიკულუმი, გაიზარდოს თეორიული სეგმენტის წილი და გადაიხედოს კრედიტების გადანაწილების სისტემა, რათა სრულ შესაბამისობაში მოვიდეს სამაგისტრო საფეხურის სწავლების მოთხოვნებთან;
13. რეკომენდებულია, განხორციელდეს წარმოდგენილი სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მოდიფიცირება, მათი გაზომვადობის, მიღწევადობის და პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
14. რეკომენდებულია, გადაიხედოს კინო-მუსიკის, კინო-მხატვრობისა და კინო-საოპერატორის ოსტატობის სასწავლო კურსებში უნარების ქუდქვეშ არსებულია სწავლის შედეგები, რადგან მათი თეორიული ერთიანობის ხედვა პრობლემურია. რეკომენდებულია, თითოეული მათგანის სწავლის შედეგების ჩამონათვალში დარჩეს მხოლოდ აუცილებელი უნარები და ასევე, დარგისთვის რელევანტური სწავლის შედეგები;
15. რეკომენდებულია, კინოოპერატორის ოსტატობის, აუდიო-ვიზუალური რეჟისურის, მონტაჟის და ხმის დიზაინის სასწავლო კურსებში მოხდეს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გადახედვა, საკონტაქტო საათების გაზრდა და დიფერენცირება სალექციო და სტუდიური მუშაობის საათებად;
16. რეკომენდებულია, საოპერატორო ხელოვნების, კინო ოპერატორის ოსტატობის, კინომუსიკის და აუდიო-ვიზუალური რეჟისურის სწავლების კურსებში გამოყენებული იქნას თანამედროვე დარგობრივი ლიტერატურა;

17. რეკომენდებულია პრაქტიკული და თეორიული ნამუშევრის წარმოდგენა სამაგისტრო ნაშრომის სახით, ვინაიდან სამაგისტრო დონეზეა საუბარი და პროგრამის ფარგლებში შესაფასებელია რამდენიმე სეგმენტი კინოწარმოებიდან (რეჟისორი, პროდიუსერი, კინოოპერატორი, ხმის დიზაინი და სხვ.);
18. რეკომენდებულია, ერთობლივი სამაგისტრო ნაშრომის შექმნის შემთხვევაში განისაზღვროს თითოეული სტუდენტის შეფასების კრიტერიუმი/მეთოდი/გეგმა, რითაც მკაფიოდ გამოეკვეთება თითოეული მათგანის თანამონაწილეობის წილი მთლიან პროცესში;
19. რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში (განსაკუთრებით კინომუსიკა, კინომხატვრობა, კინოოპერატორის ოსტატობა) მითითებული იყოს სწავლა-სწავლების ის მეთოდი(ები), რომლებიც შეესაბამება აუდიო-ვიზუალური ხელოვნების/დარგის სპეციფიკას;
20. რეკომენდებულია, ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში თითოეული შეფასების კომპონენტი მოიცავდეს აღწერით ნაწილს და უფრო ცხადად გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები; შეფასების კომპონენტები ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას;
21. რეკომენდებულია, ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში (მაგ., კინო მხატვრობა, ქართული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ტენდენციები, კრეატიული მარკეტინგი, მსოფლიო ხელოვნების ისტორია, მსოფლიო კინოს ისტორია, პროდიუსინგი 1, 2 ხმის დიზაინი 2, საავტორო სამართალი და სხვ.), სადაც საჭიროა თითოეულ კომპონენტში კონკრეტული მინიმალური ზღვრის გადალახვა, მიეთითოს შესაბამისი მინიმალური ზღვრები და შესწორდეს ხარვეზები ქულათა გადანაწილების სქემაში;
22. რეკომენდებულია, გაიზარდოს პროგრამის აკადემიური პერსონალის რაოდენობა,
23. რეკომენდებულია, სტუდიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაზრდა, კერძდო კი, განხორციელდეს პროფესიული გადასაღები კამერებისა და განათლების სისტემის შესყიდვა, ასევე, კომპიუტერების დამატება, რათა განხორციელდეს ხმის დიზაინის შექმნა და მონტაჟი;
24. რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტში მკაფიოდ გაიწეროს გასაწევი ხარჯების ყველა კომპონენტი;
25. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან (განსაკუთრებით პროგრამის ხელძღვანელებთან), რათა პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შესაბამისი ინსტრუმენტების შემუშავების, შეფასების განხორციელებისა და მიღებული შედეგების გამოყენების პროცესში მოხდეს მათი ეფექტიანი ჩართულობა, რაც ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს პროგრამაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწას, ხოლო მეორე მხრივ, საჭიროების შემთხვევაში ახალი, პროგრამაზე მორგებული და ინოვაციური მექანიზმების შემუშავებას;
26. რეკომენდებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირებისთვის ჩატარდეს რეგულარული და სისტემური ტრენინგები პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შემუშავებასა და ფორმულირებაზე;
27. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა საუნივერსიტეტო სერვისებისა და ინფრასტრუქტურის, ისევე როგორც კურსდამთავრებულთა და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების შეფასებისა და პროგრამასთან დაკავშირებული გამოკითხვების (სასწავლო კურსის, ლექტორის, საგამოცდო სისტემის შეფასება და ა.შ.) მიმართულებით. მნიშვნელოვანია კვლევის შედეგები გახდეს საჯარო საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის, ისევე როგორც კვლევის შედეგად გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორების მიზნით დაგეგმილი ნაბიჯები და ეტაპები;
28. რეკომენდებულია, განხორციელდეს ანალოგ დასავლურ საგანმანათლებლო პროგრამათა მიზნების, სწავლის შედეგების, სწავლების მეთოდოლოგიისა და სასწავლო გეგმების

შესწავლა და ანალიზი. აღნიშული პროგრამის აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობას მისცემს ერთი მხრივ, უკეთ დაინახონ მსგავსება-განსხვავება ანალოგ პროგრამებთან და შესაბამისად, დანერგონ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, ხოლო მეორე მხრივ, წარმოდგენას შეუქმნის ადგილობრივ, რეგიონალურ თუ საერთაშორისო დონეზე/საგანმანათლებლო რუკაზე სად თავსდება წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა მისი მიზნებით, შედეგებითა და შინაარსით;

29. რეკომენდებულია, პროგრამაზე მორგებული სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შემუშავების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლების მიერ განხორციელდეს ტრენინგები ან სამუშაო შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელებთან, ასევე პროგრამის აკადემიურ გუნდთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეკომენდაციების მიუხედავად, სააპელაციო საბჭომ სრულიად დააკმაყოფილა უნივერსიტეტის მოთხოვნები, რაც ნიშნავს იმას, რომ აკრედიტაციის საბჭომ ხელახლა უნდა იმსჯელოს საკითხთან დაკავშირებით. ამ მოცემულობიდან გამომდინარე, ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციების 80% დაწესებულების მიერ გათვალისწინებული და შესრულებული იქნა. რეკომენდაციების რაოდენობის მუხედავად, აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში, დაწესებულებას აქვს რესურსი იმისა, რომ შესაბამისი წარმოების საფუძველზე ნათლად წარმოაჩინოს რეკომენდაციების შესრულების ნამდვილობა და პროგრამის გამართულობა.

ამასთან, სააპელაციო საბჭომ არ იმსჯელა მხოლოდ ერთ სამართლებრივ ფატქორზე მან ასევე აღნიშნა, რომ დასაბუთებულად არ ჩანს თუ რატომ ვერ შეძლებდა დაწესებულება ერთი წლის განმავლობაში ხარვეზების გამოსწორებას. ამასთან დაწესებულებას უკვე აქვს მზაობა რეკომენდაციების შესრულებისა, უმრავლესობა მათგანი უკვე შესრულებულია და საბჭოს აქვს სამართლებრივი ბერკეტი იმისა, რომ მოახდინოს აღნიშნულის შემოწმება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს ვერ იმსჯელებს რეკომენდაციების შესრულების საკითხზე, ვინაიდან დაწესებულების მიერ არ არის წარმოდგენილი შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლალი ოდიშვილმა განმარტა, რომ სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების შედეგები არის ის, რომ გაზიარების შემთხვევაში აკრედიტაციის საბჭოს უბრუნდება საკითხი და განიხილავს აკრედიტაციის დებულების 27-ე მუხლის მიხედვით, რაც გულისხმობს იმას, რომ საკითხი სააკრედიტაციოდ გადის ხელახლა.

ცენტრის წარმომადგენელმა, ქეთევან ინანაშილმა განმარტა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^{2}-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ზეპირ მოსმენაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში არ მიიღება აკრედიტაციის მაძიებლის ის დოკუმენტი, რომელიც შემუშავდა სააკრედიტაციო ვიზიტის შემდეგ. სააპელაციო საბჭოს მიერ საკითხის დაბრუნების შემთხვევაში აკრედიტაციის საბჭო ხელახლა განიხილავს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ დასკვნას, აკეთებს შეფასებებს და იღებს ოთხიდან ერთ - ერთ გადაწყვეტილებას, რომლებიცაა: აკრედიტაცია, აკრედიტაცია მონიტორინგის პირობით, პირობითი აკრედიტაცია და უარი აკრედიტაციის მინიჭებაზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყებისდრო: 17:07

დასრულებისდრო: 17:35

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ ხელახლა განიხილა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული დასკვნა და ძალაში დატოვა 2022 წლის 02 აგვისტოს N868258 აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „კინოწარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ. აკრედიტაციის საბჭომ აღნიშნა, რომ რეკომენდაციების სიმძიმიდან გამომდინარე შეიცვალა კომპონენტის და სტანდარტის შეფასებები, კერძოდ, 2.2 და 2.3 კომპონენტები ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“, ხოლო 2.6 კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. ესაბამისად, მეორე სტანდარტი განისაზღვრა, როგორც „არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან“. ცვლილება, ასევე, შეეხო 5.1 კომპონენტს, რომელიც ნაცვლად „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“ განისაზღვრა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, აღნიშნულმა ცვლილებამ არ გამოიწვია მეხუთე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის "კინოწარმოების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0
განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

1. რეკომენდებულია, მიზნების დავიწროება, დაზუსტება და დაკონკრეტება, რათა მათში აისახოს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა;
2. რეკომენდებულია, ჩატარდეს ვალიდური და სანდო შრომის ბაზრის კვლევა ქართული კინოწარმოების სფეროში არსებული მოთხოვნების შესასწავლად და საჭიროებების გამოსავლენად, რაც პროგრამის აკადემიურ გუნდს საშუალებას მისცემს შექმნას შრომის ბაზარზე მეტად ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამა.
3. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზნებთან, მათში მოხდეს პროგრამის მიზნებით გათვალისწინებული კინოწარმოების ყველა სეგმენტისთვის (რეჟისურა, პროდუსინგი, ხმის ოპერატორი და ა.შ.) დამახასიათებელი დარგობრივი სპეციფიკური ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების სრულად ასახვა;
4. რეკომენდებულია მოხდეს პროგრამის სწავლის შედეგებში უნარების პერსპექტივაზე ჩაღრმავება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩნდება შთაბეჭდილება რომ საბოლოოდ ეს უნარები, ცალ-ცალკე ყოველი მათგანი ზედაპირული ხასიათის იქნება და პროფესიის დაუფლებისას, პრობლემას შექმნის კონკრეტული კომპეტენციების სიღრმისეულად დაუფლების საკითხში;
5. რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის (სულ 19 სწავლის შედეგი) და სასწავლო კურსების სწავლის შედეგები და მოხდეს მათი რაოდენობის შემცირება; პროგრამის სწავლის შედეგების გადახედვის შემდგომ მოხდეს მათი თემატური კონცენტრაცია - გაერთიანება;
6. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგები აღიწეროს მარტივად, მკაფიოდ, იყოს გაზომვადი და რეალისტური, რათა შესაძლებელი იყოს მათი ობიექტურად შეფასება,

ნათლად უნდა ჩანდეს თუ რისი შესრულება/კეთება შეუძლია სტუდენტს, არ უნდა იქნას გამოყენებული ორაზროვანი და ბუნდოვანი ზმნები თუ ფორმულირებები;

7. რეკომენდებულია, წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით, შესაბამისი სამიზნე ნიშნულების მითითებით;
8. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის სწავლის შედეგი, რათა ერთი მხრივ, მოხდეს პროგრამის შინაარსით მოაზრებული შესაბამისი უნარების პროგრამის აღწერილობაში;
9. რეკომენდებულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ გადაიხედოს და დაზუსტდეს პროგრამის მიღების წინაპირობების ერთიანი მოცემულობა და დაისვას საკითხი, ერთსა და იმავე სწავლების დონეზე შექმნის თუ არა რისკს, სხვადასხვა მომზადების საფუძველზე, წინაპირობების გარეშე ფორმირებული ჯგუფის მუშაობა ოსტატებთან და პედაგოგებთან. შესაბამისად, რეკომენდებულია ჩატარდეს ზეპირი გამოცდა, რომელიც აპლიკანტის მოტივაციასთან ერთად შეაფასებს მის შემოქმედებითობას, ზოგად დარგობრივ ცოდნას, უნარ-ჩვევებს, მსოფლმხედველობასა და მსოფლაღქმას;
10. რეკომენდებულია დეტალურად გაიწეროს გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები, რათა გასაუბრების პროცესი იყოს გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური.
11. რეკომენდებულია, პროგრამის კურიკულუმში წარმოდგენილი სავალდებულო სასწავლო კურსები სრულყოფილად უზრუნველყოფდნენ სიღრმისეული და სისტემური, სამაგისტრო დონის შესაბამისი ცოდნისა და უნარების გამომუშავებას, ხოლო არჩევითი კურსები წარმოადგენდეს მათ დამატებას და ხელს უწყობდეს დამატებითი ინფორმაციისა და ცოდნის შეძენას. შესაბამისად, სავალდებულო კურსები, როგორიცაა ხმის დიზაინი I, კინოდრამატურგის ოსტატობა I, უნდა გაძლიერდეს ამავე დასახელების არჩევითი სასწავლო კურსების შინაარსით ან ეს არჩევითი სასწავლო კურსები კურიკულუმში გადავიდეს სავალდებულო სასწავლო კურსების ქუდქვეშ;
12. რეკომენდებულია სიღრმისეულად გადაიხედოს პროგრამის კურიკულუმი, გაიზარდოს თეორიული სეგმენტის წილი და გადაიხედოს კრედიტების გადანაწილების სისტემა, რათა სრულ შესაბამისობაში მოვიდეს სამაგისტრო საფეხურის სწავლების მოთხოვნებთან.
13. რეკომენდებულია, განხორციელდეს წარმოდგენილი სავალდებულო სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მოდიფიცირება, მათი გაზომვადობის, მიღწევადობის და პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
14. რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსების - “აღრიცხვა და ფინანსები კინოწარმოებისათვის”, ასევე, “კრეატიული მარკეტინგი” - სწავლის შედეგები და დაზუსტდეს კურსის შინაარსის სპეციფიკის გათვალისწინებით;
15. რეკომენდებულია გადაიხედოს კინომუსიკის, კინომხატვრობისა და კინოსაოპერატორის ოსტატობის სასწავლო კურსებში უნარების ქუდქვეშ არსებულია სწავლის შედეგები, რადგან მათი თეორიული ერთიანობის ხედვა პრობლემურია. რეკომენდებულია, თითოეული მათგანის სწავლის შედეგების ჩამონათვალში დარჩეს მხოლოდ აუცილებელი უნარები და ასევე, დარგისთვის რელევანტური სწავლის შედეგები;
16. რეკომენდებულია, კინოოპერატორის ოსტატობის, აუდიო-ვიზუალური რეჟისურის, მონტაჟის და ხმის დიზაინის სასწავლო კურსებში მოხდეს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გადახედვა, საკონტაქტო საათების გაზრდა და დიფერენცირება სალექციო და სტუდიური მუშაობის საათებად;
17. რეკომენდებულია, საოპერატორო ხელოვნების, კინო ოპერატორის ოსტატობის, კინომუსიკის და აუდიო-ვიზუალური რეჟისურის სწავლების კურსებში გამოყენებული იქნას თანამედროვე დარგობრივი ლიტერატურა.

18. რეკომენდებულია პრაქტიკული და თეორიული ნამუშევრის წარმოდგენა სამაგისტრო ნაშრომის სახით, ვინაიდან სამაგისტრო დონეზეა საუბარი და პროგრამის ფარგლებში შესაფასებელია რამდენიმე სეგმენტი კინოწარმოებიდან (რეჟისორი, პროდიუსერი, კინოოპერატორი, ხმის დიზაინი და სხვ.);
19. რეკომენდებულია, ერთობლივი სამაგისტრო ნაშრომის შექმნის შემთხვევაში განისაზღვროს თითოეული სტუდენტის შეფასების კრიტერიუმი/მეთოდი/გეგმა, რითაც მკაფიოდ გამოეკვეთება თითოეული მათგანის თანამონაწილეობის წილი მთლიან პროცესში.
20. რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში (განსაკუთრებით კინომუსიკა, კინომხატვრობა, კინოოპერატორის ოსტატობა) მითითებული იყოს სწავლა-სწავლების ის მეთოდი(ები), რომლებიც შეესაბამება აუდიო-ვიზუალური ხელოვნების/დარგის სპეციფიკას.
21. რეკომენდებულია ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში თითოეული შეფასების კომპონენტი მოიცავდეს აღწერით ნაწილს და უფრო ცხადად გაიწეროს შეფასების კრიტერიუმები და რუბრიკები; შეფასების კომპონენტები ითვალისწინებდეს კურსის სპეციფიკას;
22. რეკომენდებულია, ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში (მაგ.,კინო მხატვრობა, ქართული ლიტერატურის განვითარების ძირითადი ტენდენციები, კრეატიული მარკეტინგი, მსოფლიო ხელოვნების ისტორია, მსოფლიო კინოს ისტორია, პროდიუსინგი 1, 2 ხმის დიზაინი 2, საავტორო სამართალი), სადაც საჭიროა თითოეულ კომპონენტში კონკრეტული მინიმალური ზღვრის გადალახვა, მიეთითოს შესაბამისი მინიმალური ზღვრები და შესწორდეს ხარვეზები ქულათა გადანაწილების სქემაში.
23. რეკომენდებულია, პროგრამის შემოქმედებითი ხასიათიდან გამომდინარე, მოიძებნოს კურსის სპეციფიკის შესაბამისი რელევანტური ფორმები, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება შემოქმედებითი უნარების განვითარებასა და შემოქმედებით დარგებში ცოდნის დემონსტრირებას;
24. რეკომენდებულია, გაიზარდოს პროგრამის აკადემიური პერსონალის რაოდენობა.
25. რეკომენდებულია პროგრამის ხელძღვანელების პირადი საქმეებში დასტურდებოდეს პროგრამის ხელმძღვანელობის გამოცდილება/კომპეტენცია;
26. რეკომენდებულია, სტუდიების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაზრდა, კერძოდ კი, განხორციელდეს პროფესიული გადასაღები კამერებისა და განათლების სისტემის შესყიდვა, ასევე, კომპიუტერების დამატება, რათა განხორციელდეს ხმის დიზაინის შექმნა და მონტაჟი.
27. რეკომენდებულია პროგრამის ბიუჯეტში მკაფიოდ გაიწეროს გასაწევი ხარჯების ყველა კომპონენტი.
28. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ გუნდთან (განსაკუთრებით პროგრამის ხელძღვანელებთან), რათა პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შესაბამისი ინსტრუმენტების შემუშავების, შეფასების განხორციელებისა და მიღებული შედეგების გამოყენების პროცესში მოხდეს მათი ეფექტიანი ჩართულობა, რაც ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს პროგრამაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დახვეწას, ხოლო მეორე მხრივ, საჭიროების შემთხვევაში ახალი, პროგრამაზე მორგებული და ინოვაციური მექანიზმების შემუშავებას;
29. რეკომენდებულია პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირებისთვის ჩატარდეს რეგულარული და სისტემური ტრენინგები პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შემუშავებასა და ფორმულირებაზე.
30. რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააქტიუროს მუშაობა საუნივერსიტეტო სერვისებისა და ინფრასტრუქტურის, ისევე როგორც კურსდამთავრებულთა და აკადემიური პერსონალის კმაყოფილების შეფასებისა და პროგრამასთან დაკავშირებული გამოკითხვების (სასწავლო კურსის, ლექტორის,

საგამოცდო სისტემის შეფასება და ა.შ.) მიმართულებით. მნიშვნელოვანია კვლევის შედეგები გახდეს საჯარო საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის, ისევე როგორც კვლევის შედეგად გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გამოსწორების მიზნით დაგეგმილი ნაბიჯები და ეტაპები;

31. რეკომენდებულია, განხორციელდეს ანალოგ დასავლურ საგანმანათლებლო პროგრამათა მიზნების, სწავლის შედეგების, სწავლების მეთოდოლოგიისა და სასწავლო გეგმების შესწავლა და ანალიზი. აღნიშული პროგრამის აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობას მისცემს ერთი მხრივ, უკეთ დაინახონ მსგავსება-განსხვავება ანალოგ პროგრამებთან და შესაბამისად, დანერგონ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, ხოლო მეორე მხრივ, წარმოდგენას შეუქმნის ადგილობრივ, რეგიონალურ თუ საერთაშორისო დონეზე/საგანმანათლებლო რუკაზე სად თავსდება წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა მისი მიზნებით, შედეგებითა და შინაარსით;
32. რეკომენდებულია, პროგრამაზე მორგებული სწავლის შედეგების შეფასების გეგმის შემუშავების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლების მიერ განხორციელდეს ტრენინგები ან სამუშაო შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელებთან, ასევე პროგრამის აკადემიურ გუნდთან.

რჩევები:

1. სასურველია, განხორციელდეს დამატებითი კონსულტაციები პროგრამაში ჩართულ დარგის თითოეულ სპეციალისტთან პროგრამის მიზნების სრულყოფის მიზნით;
2. სასურველია ჩატარდეს საფუძვლიანი კონსულტაციები პროგრამის ხელმძღვანელებსა და პედაგოგებს შორის მიღების წინაპირობებით არსებული რისკების განსაზღვრისა და აღმოფხვრის თაობაზე;
3. სასურველია, კურიკულუმში გაიზარდოს არჩევითი სასწავლო კურსების ბლოკისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა;
4. სასურველია არჩევითი სასწავლო კურსი „აღრიცხვა და ფინანსები კინოწარმოებისთვის“ გადმოტანილ იქნას ძირითად სასწავლო კურსებში (განსაკუთრებით ეს მნიშვნელოვანია პროდიუსერის სპეციალობისთვის), რადგან აღნიშნული სასწავლო კურსიხელს უწყობს შესაბამისი უნარების გამომუშავებას, როგორიცაა მაგ., შემოქმედებითი პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე ბიუჯეტის განსზღვრის და დაგეგმვის უნარი, რთულ და მოულოდნელ სიტუაციაში დამატებით სახსრების მოძიებისა და სწორად დაგეგმვის უნარი და სხვ.;
5. სასურველია, უნივერსიტეტმა გააქტიუროს მუშაობა ისეთი სტუდენტური სერვისების გაუმჯობესების მიმართულებით, როგორიცაა გაცვლით პროგრამები და დამსაქმებლებთან თანამშრომლობა, რათა ყველა სტუდენტს ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისა და ასევე, უნივერსიტეტის შუამდგომლობით დასაქმებისა. სტუდენტებს სრულად უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია ამ მიმართულებით უნივერსიტეტში არსებული შესაძლებლობების შესახებ;
6. სასურველია, პროგრამის განვითარების საბჭო და პროგრამის აკრედიტაციის საბჭო დაკომპლექტდეს უფრო მეტი წარმომადგენლობით აკადემიური/მოწვეული პერსონალის, სტუდენტის, კურსდამთავრებულის და დამსაქმებლების. აღნიშნული უზრუნველყოფს პროგრამის გუნდის აქტიურ ჩართვას პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში და შესაბამისად, ამ მიმართულებით მათი ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების მართებულ აღქმას;
7. სასურველია, პროგრამის შეფასება განხორციელდეს ადგილობრივი ან უცხოელი დარგის წარმომადგენლების ექსპერტული ჩართულობით უნივერსიტეტში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად.

გადაწყვეტილება: : „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 24-ე მუხლის, ასევე, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, ამავე კანონის 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის 6 იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, უარი ეთქვას შპს - საქართველოს უნივერსიტეტის „კინოწარმოების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას აკრედიტაციის მინიჭებაზე.

სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 13 დეკემბერს 17:35 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით